

საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები - ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის  
სტუდენტებისთვის

ფარმაკოგნოზია 1

1. ფარმაკოგნოზიის, როგორც და მეცნიერების ჩამოყალიბება-განვითარება.
2. ნახშირწყლები, მათი დახასიათება და კლასიფიკაცია;
3. მონოსაქარიდები, პოლისაქარიდები: სახამებელი, ინულინი, პექტინები. მათი დახასიათება, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები.
4. ნახშირწყლების სამედიცინო მნიშვნელობა და მათი გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
5. ლორწოს შემცველი მცენარეული ნედლეული: მრავალძარღვას და ვირისტერფას ფოთოლები, ტუხტის ბალახი და ფესვი, სელის თესლი, ცაცხვის ყვავილი, ლამინარია. მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინასა და ფარმაციაში;
6. გომიზები და გომიზების წარმომქმნელი მცენარეები: გარგარის გომიზი, ქათირი.
7. ვიტამინები, მათი კლასიფიკაცია;
8. K1 ვიტამინის შემცველი მცენარეული ნედლეული: ჭინჭრის ფოთოლი, წიწმატურას ბალახი, სიმინდის ულვაში, ძახველის ქერქი; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, სამედიცინო მნიშვნელობა;
9. კაროტინოიდების შემცველი მცენარეული ნედლეული: ორკბილას ბალახი, ცირცელის ნაყოფი, გულყვითელას ყვავილი, ქაცვის ნაყოფი. მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, სამედიცინო მნიშვნელობა;
10. C ვიტამინის შემცველი მცენარეული ნედლეული: ასკილის ნაყოფი, შავი მოცხარის ნაყოფი; მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, სამედიცინო მნიშვნელობა;
11. ცხიმების სტრუქტურა, კლასიფიკაცია თვისებები, კვლევისა და მიღების მეთოდები;
12. ნუშის, ატმის, ზეთის ხილის, არაქისის, სიმინდის, სელის, აბუსალათინის, კაკაოს ზეთი, მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინაში.
13. ტერპენოიდების და ეთეროვანი ზეთების დახასიათება, კლასიფიკაცია;
14. აციკლოური, მონოციკლოური, ბიციკლოური მონოტერპენები, სესქვიტერპენები და არომატული შენაერთები;
15. ეთეროვანი ზეთების გავრცელება, ლოკალიზაცია და ბიოლოგიური როლი მცენარისათვის, თვისებები, გამოყოფის და კვლევის მეთოდები, მედიკო-ბიოლოგიური მნიშვნელობა;
16. ეთეროვანი ზეთების შემცველი მცენარეები და ნედლეული: აციკლოური და მონოციკლოური მონოტერპენების შემცველი ეთეროვანი ზეთები და მცენარეული ნედლეული: ვარდის და ლავანდის ყვავილები, ქინძის და კვლიავის ნაყოფები, ევკალიპტის, სალბის, პიტნის ფოთლები, მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინაში.

17. ბიციკლური მონოტერპენები, სესქვიტერპენები. მათი შემცველი ეთეროვნი ზეთები და მცენარეული ნედლეული: კატაბალახას ფესვები, ქაფურის წყაროები. კოთხუჯის ფესურა, არყის ფოთლები და კვირტები. კულმუხოს ფესურა ფესვებით, აზინდას ბალახი, სააფთიაქო გვირილას და ფარსმანდუკის ყვავილები, მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინაში.
18. არომატული შენაერთების შემცველი ეთეროვნი ზეთები და მცენარეული ნედლეული: ანისულის, დიდი კამის ნაყოფები, ბეგქონდარას და თავშავას ბალახი.ფისების და ბალზამების შემცველი მცენარეები: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი. მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინაში.
19. გლიკოზიდები, კლასიფიკაცია, თვისებითი რეაქციები, გამოყენება მედიცინაში.
20. საგულე გლიკოზიდების (კარდიოსტეროიდები) სტრუქტურა, კლასიფიკაცია: კარდენოლიდები და ბუფადიენოლიდები, ბიოსინთეზი გავრცელება მცენარეებში;
21. საგულე გლიკოზიდების გამოყოფა, იდენტიფიკაცია, თვისებები. მათი შემცველი მცენარეები და ნედლეული, მედიცინაში გამოყენება, პრეპარატები.
22. საგულე გლიკოზიდების შემცველი მცენარეული ნედლეული: ფუტკარას ფოთოლი, სტროფანტუსის თესლი, შროშანას ბალახი, ღვედკეცის ქერქი, ყვითელი ცხვირის სატეხელას (დევსურას) ბალახი, ერიზიმის ბალახი, ხარისძირას ფესურა ფესვებით, მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინაში.
23. საპონინების სტრუქტურა, კლასიფიკაცია, ტრიტერპენული და სტეროიდული საპონინები, თვისებები, კვლევის მეთოდები, მედიკო-ბიოლოგიური მნიშვნელობა.
24. სტეროიდული საპონინების შემცველი მცენარეული ნედლეული: დიოსკორეას ფესურა, იუკას და კუროსთავის ბალახი, მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინაში.
25. ტრიტერპენული საპონინების სტრუქტურა, კლასიფიკაცია, შემცველი მცენარეული ნედლეული: ძირტკბილას ფესვები, მინდვრის შვიტას და თირკმლის ჩაის ბალახი, მანჯურიის არალიას და ჟენშენის ფესვი, მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინაში.
26. მონოტერპენული მწარეები (გლიკოზიდები) და ირიდოიდები სტრუქტურა, კლასიფიკაცია, თვისებები, გავრცელება, მედიკო-ბიოლოგიური მნიშვნელობა;
27. ირიდოიდების შემცველი მცენარეული ნედლეული: ბაბუაწვერას ფესვები, ასისთავას ბალახი, წყლის სამყურას ფოთოლი, ყვითელი ნაღველას ბალახი, სვიის გირჩები, მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინაში.
28. თიოგლიკოზიდები და ციანოგენური გლიკოზიდების დახასიათება;
29. თიოგლიკოზიდები და ციანოგენური გლიკოზიდების შემცველი მცენარეული ნედლეული: მდოგვის თესლები, ნივრის და ხახვის ბოლქვები, სამკურნალო წყავის ფოთოლი, მწარე ნუშის თესლი, დიდგულას ყვავილი, მათი ლათინური დასახელება, ქიმიური შემადგენლობა, გამოყენება მედიცინაში.
30. ლორწოს შემცველი მცენარეული ნედლეულის მრავალძარღვას და ვირისტერფას ფოთლის მაკრო და მიკრო ანალიზი; ჰისტოქიმიური რეაქციები ლორწოზე;
31. ტუხტის ბალახისა და ფესვის მაკრო და მიკრო ანალიზი;
32. სელის თესლის ანატომიური შენება;

33. ვიტამინების შემცველი სამკურნალო მცენარეები და ნედლეული: ასკილის ნაყოფების მაკროსკოპული, მიკროსკოპული ანალიზი;
34. ასკილის ნაყოფების ფიტოქიმიური ანალიზი - ასკორბინის მჟავას რაოდენობითი განსაზღვრა ასკილის ნაყოფებში ტიტრაციის მეთოდით;
35. ვიტამინის შემცველი მცენარეული ნედლეული: ჭინჭრის ფოთლის, წიწმატურას ბალახის, ორკბილას ბალახის მაკრო- და მიკრო- ანალიზი.
36. ცხიმების იდენტიფიკაცია თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებით.
37. ეთეროვანი ზეთების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ფიტოქიმიური ანალიზი.
38. ეთეროვანი ზეთების იგივეობისა და კეთილხარისხოვნების დადგენა: რეაქციები სპირტის შემცველობაზე; გარდატეხის მაჩვენებლის განსაზღვრა;
39. აციკლური და მონოციკლური მონოტერპენების შემცველი მცენარეული ნედლეულის - ევკალიპტის, სალბის, პიტნის ფოთლების - მაკრო და მიკროანალიზი.
40. ბიციკლური მონოტერპენები, სესქვიტერპენების შემცველი მცენარეული ნედლეულის: კატაბალახას ფესვების, აბზინდას ბალახის მაკრო და მიკრო- ანალიზი.
41. არომატული შენაერთების შემცველი მცენარეული ნედლეულის - დიდი კამის ნაყოფების, ბეგქონდარას და თავშავას ბალახის მაკრო- და მიკროანალიზი.
42. საგულე გლიკოზიდების შემცველი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ფუტკარას ფოთლის, შროშანას ბალახის, ყვითელი ცხვირის სატეხელას მაკრო- მიკრო- და ფიტოქიმიური ანალიზი.
43. საპონინების შემცველი ნედლეულის ფიტოქიმიური ანალიზი.
44. ყოჩივარდას ტუბერების, თავვის სარას და ძირტკბილას ფესვების სითხოვანი ექსტრაქტებში საპონინების ბუნებისა და ქაფიანობის რიცხვის დადგენა;
45. ტრიტერპენული საპონინების შემცველი მცენარეული ნედლეულის - ძირტკბილას ფესვების, თირკმლის ჩაის ბალახის, კუროსთავის ფოთლების მაკრო და მიკროანალიზი.
46. მწარე გლიკოზიდებისა და ირიდოიდების შემცველი ნედლეულის - ბაბუაწვერას ფესვების, წყლის სამყურას ფოთლის მაკრო- და მიკროანალიზი.